



თავისუფალი გაკვეთილები -
მასწავლებელთა ინფორმირებულობა და
დამოკიდებულებები

(თვისებრივი კვლევის ანგარიში)

07.2017 წ.

შინაარსი

<u>შესავალი</u>	3
<u>კვლევის მიზანი</u>	3
<u>კვლევის მეთოდოლოგია</u>	3
<u>ძირითადი მიზნები</u>	4
<u>1. პროექტში მონაწილეობის მოტივაცია და დამოკიდებულებები</u>	4
<u>2. ხელისშემშლელი ფაქტორები</u>	5
<u>3. განაცხადის შემუშავების პროცესის და მხარდაჭერა</u>	6
<u>4. თავისუფალი გაკვეთილების მიზნების გაცნობიერება</u>	7
<u>5. მასწავლებლის დატვირთვა, ანაზღაურება და კრედიტ ქულები</u>	8
<u>თავისუფალი გაკვეთილების პროექტის შეფასების სამუშაო შეხვედრა</u>	9
<u>ძირითადი დასკვნები</u>	11
<u>რეკომენდაციები</u>	12

შესავალი

2017 წლიდან განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ახალი პროექტის - „თავისუფალი გაკვეთილების“ განხორციელება დაიწყო.

თავისუფალი გაკვეთილები გულისხმობს - მოსწავლის ინტერესებზე მორგებულ კლასგარეშე/არაფორმალური აქტივობების ციკლს, რომლის შინაარსი და სწავლების მეთოდოლოგია განსხვავდება ტიპური საგაკვეთილო პროცესისაგან, არ ითვალისწინებს საშინაო დავალებების მომზადებას, მოსწავლის შეფასებას და მოსწავლეებს და მასწავლებლებს შემოქმედებითი აქტივობის და იდეების რეალიზების საშუალებას აძლევს.

აქტივობებისთვის, პროგრამის ფარგლებში, განისაზღვრა შემდეგი მიმართულებები:

- სპორტული აქტივობები
- წიგნიერების განვითარება
- კულტურა/ხელოვნება
- ინტელექტუალურ-შემეცნებითი აქტივობები¹

პროექტი განხორციელების აქტიურ ფაზაში იმყოფება. ამ ეტაპზე დაფინანსებულია თავისუფალი გაკვეთილების 926 სკოლის განაცხადი, რომელშიც მონაწილეობას იღებს 2198 მასწავლებელი და 86577 მოსწავლე.²

თავისუფალი გაკვეთილების მიმართ საზოგადოების მაღალი ინტერესის გამო კოალიციამ „განათლება ყველასათვის - საქართველო“ მნიშვნელოვნად მიიჩნია განხორციელებინა მიმდინარე პროცესის შესახებ მასწავლებელთა ინფორმირებულობისა და დამოკიდებულებების შესწავლა, რათა დანერგვის ეტაპზე მოხდეს პროექტის ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება.

კვლევა განხორციელდა საგანმანათლებლო ინიციატივების ქართული ასოციაციის მონაწილეობით.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანს წარმოადგენდა, თავისუფალი გაკვეთილების დანერგვის პროცესში არსებული ტიპური პრობლემების იდენტიფიცირება, მხარდამჭერი პროცესებისა და გარემოებების გამოვლენა და შეგროვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება.

¹ <http://www.mes.gov.ge/content.php?id=7031&lang=geo>

² განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაცემები

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა განხორციელდა თვისებრივი კვლევის მეთოდით და მოიცავდა პირისპირ ინტერვიუებსა და ფოკუს ჯგუფებს.

სკოლები შეირჩნენ შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

- ქალაქის დიდკონტინგენტიანი ქართულენოვანი სკოლა;
- ქალაქის დიდკონტინგენტიანი არაქართულენოვანი სკოლა;
- რეგიონის (სოფლის) ქართულენოვანი მცირეკონტინგენტიანი სკოლა;
- რეგიონის (სოფლის) არაქართულენოვანი მცირეკონტინგენტიანი სკოლა;
- რეგიონის ქართული დიდკონტინგენტიანი სკოლა.

სუ შერჩეულ იქნა 17 საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა.

პროექტის პირველ ეტაპზე ასევე მომზადდა ინტერვიუს კითხვარი და ფოკუს-ჯგუფის გაიდლაინი.

ძირითადი მიგნებები

კვლევის შედეგად გამოვლენილი საკითხები დაიყო რამდენიმე, ძირითად, თემატურ ჯგუფად:

1. პროექტში მონაწილეობის მოტივაცია და დამოკიდებულებები
2. ხელისშემშლელი ფაქტორები
3. განაცხადის შემუშავების პროცესი და მხარდაჭერა
4. თავისუფალი გაკვეთილების მიზნების გაცნობიერება
5. მასწავლებლის დატვირთვა, ანაზღაურება და კრედიტ ქულები

1. პროექტში მონაწილეობის მოტივაცია და დამოკიდებულებები

- დირექტორები და მასწავლებლები მიიჩნევენ, რომ პროგრამაში ჩართვა წარმოადგენს სკოლის განვითარების დამატებით საშუალებას;
- პროექტი სასწავლო პროცესს ხდის მეტად საინტერესოს და საშუალებას აძლევს პედაგოგებს ნაკლებად რეგლამენტირებულ, თავისუფალ გარემოში წარმართონ გაკვეთილები;
- მასწავლებლებში ინტერესს აჩენს პროექტის ინოვაციურობა. მათ ასევე აინტერესებთ, როგორ განვითარდება თავისუფალი გაკვეთილების მიმართულება მომავალში;

- სკოლის იმიჯი მაღლდება და ასეთ პროგრამაში ჩართვა საშუალებას აძლევს სკოლას, კონკურენცია გაუწიოს სხვა, მეზობლად არსებულ სკოლებს;
- რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ პროექტში მონაწილეობა ამაღლებს სკოლის იმიჯს და კონკურენტუნარიან პოზიციაში აყენებს სხვა სკოლებთან მიმართებაში;
- თავისუფალი გაკვეთილებით გამოწვეული კმაყოფილება მოსწავლეებსა და მშობლებში ხელს უწყობს მასწავლებლის პრესტიჟის ამაღლებას;
- სექციაში ჩართული უფროსი მასწავლებლების მხრიდან აღინიშნა, რომ ისინი, ზოგადად, ყველა სიახლეს აფასებენ, რადგან მაღალი აქვთ სისტემისადმი ნდობა;
- რესპონდენტთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ პროექტში მონაწილეობის მოტივაციის გაჩენაში ანაზღაურებამ, მიუხედავად მისი სიმცირისა, და კრედიტ-ქულამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. ანაზღაურება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდა პატარა ქალაქების/სოფლების და მცირე კონტინგენტის სკოლებისთვის;
- რესპონდენტების ნაწილმა აღნიშნა, რომ პროექტში მონაწილეობა იმიტომ მიიღეს, რომ სკოლების ნაწილმა ეს აღიქვა, როგორც სავალდებულო აქტივობა. ზოგიერთი მასწავლებელი კი ამბობს, რომ მათ პროექტში ჩართვა დირექტორებმა დაავალეს;
- გამოკითხული მასწავლებლები ნაწილი მიიჩნევენ, რომ ეს არის მათთვის ახალი გამოწვევა და პროექტში ერთვებიან იმისათვის, რომ მოსინჯონ საკუთარი ძალები.

2. ხელისშემშლელი ფაქტორები

იმ სკოლებმა, სადაც არაფორმალური განათლების კუთხით დაბალია გამოცდილება, მასწავლებლების პროგრამაში ჩართულობაზე უარყოფითად იმოქმედა - გარკვეულწილად საფრთხის განცდა შექმნა და ნაკლებმა მასწავლებელმა მიიღო მონაწილეობა პროცესში; ნაწილი ვერც ხვდებოდა, რას ვეკითხებოდით, რა მოიაზრებოდა არაფორმალურ განათლებაში; ზოგიერთს გაახსენდა პროფორიენტაციის გაკვეთილები, ექსკურსიები (ჩვეულებრივი, არა სასწავლო) და ლაშქრობები.

„გამოცდილმა“ სკოლებმა, სადაც უკვე ქონდათ კლუბების, წრეების და პროექტებზე მუშაობის გამოცდილება, ადვილად მოახდინეს ადამიანური თუ სხვა ტიპის რესურსების მობილიზება. ასეთმა სკოლებმა თავისუფალი გაკვეთილებით მასწავლებელთა და მოსწავლეთა ჩართულობის მაღალი ხარისხი აჩვენა.

- რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ სკოლებში სადაც არ არსებობდა არაფორმალური განათლებისა და პროექტების განხორციელების

გამოცდილება მასწავლებლებს გარკვეული შიში გაუჩნდათ, რადგან ვერ გაიგეს კარგად რა უნდა გაეკეთებინათ;

- მასწავლებლების ნაწილს არ გააჩნდა პროექტის წერის/მართვის გამოცდილება, რამაც გამოიწვია სირთულეები ბაზრის მოკვლევასთან და ინვოისების მოძიებასთან დაკავშირებით;
- რესპონდენტების ნაწილი აღნიშნავს, რომ ზოგიერთი სკოლის VII-VIII კლასებში არის პროექტში მონაწილეობისთვის არახელსაყრელი სიტუაცია, რაც გამოწვეულია რიგ შემთხვევებში მცირეკონტინგენტიანი კლასებითა და მოსწავლეთა დაბალი ინტერესით;
- სოფლის სკოლების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს ის გარემოება, რომ სოფლად მოსწავლეები ჩართულნი არიან მეურნეობაში და არ აქვთ დრო გაკვეთილების შემდგომ დამატებითი საქმიანობისათვის.
- რესპონდენტების აზრით, ასევე პრობლემას წარმოადგენს სკოლის შემდეგ მოსწავლეთა დარჩენა დამატებითი გაკვეთილებისათვის სადილის გარეშე. აქვე გასათვალისწინებელია, რომ სკოლების უმეტესობას არ აქვს ბუფეტი.
- რესპონდენტების დიდი ნაწილს ჰქონდა მოლოდინი, რომ ხელფასის სახით აიღებდა 1000 ლარს, ხოლო ანაზღაურების 200 ლარზე ქვემოთ ჩამოსვლამ მოტივაცია დაუკარგა იმ მასწავლებლებს, რომლებიც თავიდან გამოთქვამდნენ პროგრამაში მონაწილეობის სურვილს და მზაობას.
- ინტერვიუს დროს ქალაქის სკოლების მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სჯობდა თანხა საერთოდ არ დასახელებულიყო და მაგალითად: მოხალისეობრივად ჩაეტარებინათ გაკვეთილები, სამინისტროს წახალისებინა რესურსების შეძენით, ჰონორარის სახით გაეკეთებინა დანამატი და ა.შ.
- გამოკითხულთა აზრით 20 საათიანი კურსი, რომელიც 2 სასწავლო პერიოდზეა გაყოფილი, სირთულეს ქმნის ზოგიერთი მასწავლებლისათვის, კერძოდ: ძალიან დიდი შუალედია აქტივობებს შორის, რაც მოსწავლეებს, ასევე მასწავლებელს უკარგავს მოტივაციას, პროცესს უფრო დაქსაქსულს ხდის, რაც მოსწავლეებს ხელს უშლის აქტივობებს შორის კავშირის დამყარებაში.
- არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლებს თითქმის არა აქვს ინფორმაცია თავისუფალი გაკვეთილების პროგრამის შესახებ, რადგანაც დირექტორი არ არის მოტივირებული და არ აქვს ხედვა, რატომ უნდა ჩართოს სკოლა პროგრამაში.

3. განაცხადის შემუშავების პროცესის და მხარდაჭერა

- რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ განაცხადის შემუშავებაზე მუშაობამ ხელი შეუწყო სკოლის შიგნით კოლეგებს შორის თანამშრომლობას, რადგან მასწავლებლები ერთმანეთს ეხმარებოდნენ ამ პროცესში;
- რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ დირექციის მხრიდან მაღალი იყო სკოლის პროექტში ჩართვის მოტივაცია, შესაბამისად ისინი აქტიურად ცდილობდნენ მოეხდინათ მასწავლებელთა მობილიზაცია;
- მასწავლებლები, რომელთაც ჰქონდათ პროექტის წერის გამოცდილება ეხმარებოდნენ გამოუცდელ მასწავლებლებს განაცხადის შემუშავებაში;
- ზოგიერთი სკოლის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში მიმართავდნენ რესურსცენტრს, თუმცა რესურს ცენტრის თანამშრომლები ვერ ახერხებდნენ მათ დახმარებას, რადგან არ ქონდათ პროექტის შესახებ შესაბამისი ინფორმაცია;
- საპროექტო განაცხადის შემუშავებასთან დაკავშირებით პრობლემები იქმნებოდა არაქართულენოვანი სკოლების შემთხვევაში, რადგან ენის ბარიერის გამო ვერ ახერხებდნენ შესაბამისი ინფორმაციის მოძიებასა და პროექტის დაწერას.

4. თავისუფალი გაკვეთილების მიზნების გაცნობიერება

- უნდა აღინიშნოს, რომ თავისუფალი გაკვეთილების მიზნები, მთლიანობაში, ნაკლებად ქონდათ გააზრებული სკოლებს - დირექციასაც და მასწავლებლებსაც. უმეტესობა აღნიშნავდა, რომ სამინისტრომ უკეთ იცის პროექტის საჭიროება და ამიტომაც სთავაზობს მათ.
- რესპონდენტების ნაწილი განმარტავს, რომ თავისუფალი გაკვეთილებით დირექციას ეძლევა საშუალება გააკეთოს ის, რაც პროგრამით არ არის გათვალისწინებული: ჩაატაროს შრომის გაკვეთილები, ქართული კულტურის გაცნობა არაქართულ სკოლებში, მოსწავლეებთან პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება არაფორმალურ გარემოში და ა.შ.
- გამოკითხულთა ნაწილი მიიჩნევს, რომ თავისუფალი გაკვეთილები მიმართულია მცირე საათიანი მასწავლებლებისათვის საათების შესავსებად;
- გამოკითხული მასწავლებლების ნაწილი თვლის, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ამის საშუალებით ადგენს თუ როგორი გეგმების შემუშავება შეუძლიათ მასწავლებლებს.

- რესპონდენტთა დიდ ნაწილს არ ჰქონდა მიზნების მიღწევასთან დაკავშირებული მოლოდინები და ამბობდნენ, რომ ჯერ არ იციან რა შედეგი შეიძლება მოყვეს ამ პროექტს.

5. მასწავლებლის დატვირთვა, ანაზღაურება და კრედიტ ქულები

ზოგადად დაფიქსირდა ნეგატიური დამოკიდებულებები შრომის მიმართებაზე ანაზღაურებასა და კრედიტ-ქულებთან. თუმცა იყო განსხვავებული მოსაზრებებიც.

- ძირითადად ქალაქის დიდი სკოლების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ანაზღაურებას არა აქვს მნიშვნელობა და მთავარია მოსწავლეების ჩართვა საინტერესო აქტივობებში.
- ასევე აღნიშნავდნენ, რომ სამინისტროს დაფინანსების გარეშეც გააკეთებდნენ ამგვარ აქტივობებს;
- რესპონდენტთა ნაწილი მიიჩნევდა, რომ ანაზღაურება იმდენად ცოტაა შრომასთან შედარებით, რომ საერთოდ აღარ წარმოადგენს მამოტივირებელი ფაქტორს;
- მსგავს დამოკიდებულებას აფიქსირებენ კრედიტ-ქულებთან დაკავშირებითაც და თვლიან, რომ კრედიტ-ქულა იმდენად დაბალია შრომასთან შედარებით, რომ ჯობია სხვა გზით დააგროვონ, მაგ: ტრენინგებში მონაწილეობით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის და პატარა სკოლებში ანაზღაურების პრობლემას უფრო მეტად მიაქციეს ყურადღებას, ვიდრე კრედიტ-ქულების სიმცირის საკითხს.

თავისუფალი გაკვეთილების პროექტის შეფასების სამუშაო შეხვედრა

9 ივნისს კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრში შედგა პროგრამის შეფასების სამუშაო შეხვედრა, რომლის მიზანი იყო საქმიან გარემოში თავისუფალი გაკვეთილების დეტალური განხილვა და შეფასება. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 28 მასწავლებელმა, უმრავლესობა წარმოადგენდა იმ სკოლებს, სადაც მასწავლებლები და მოსწავლეები უკვე აქტიურად იყვნენ ჩართული დაგეგმილ აქტივობებში. პრეზენტაციების დროს დაასახელეს, რომელი მიმართულების პროექტს ახორციელებდა სკოლა (მაგ: სპორტული აქტივობები; წიგნიერების განვითარება; კულტურა/ხელოვნება; ინტელექტუალურ-შემეცნებითი აქტივობები) ასევე ესწრებოდნენ ისეთი სკოლებიც, სადაც ჯერ არ დაუწყიათ პროექტების განხორციელება სხვადასხვა მიზეზების გამო.

სკოლებმა ერთმანეთს პროგრამასთან დაკავშირებული გამოცდილება გაუზიარეს. კონკრეტულად, რა ცვლილებები გამოიწვია სასკოლო ცხოვრებაში თავისუფალმა გაკვეთილებმა. გამოკვეთეს თავისუფალი გაკვეთილების მიზნები, რა ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების განვითარებას უწყობს ხელს ჩვეულებრივი გაკვეთილებისაგან განსხვავებით; (მაგ: პრობლემის მოგვარებაზეა ორიენტირებული, პარტნიორობას, თანამშრომლობას, რესურსების მობილიზებას და სხვ)

მონაწილეებმა მცირე ჯგუფებში იმუშავეს პროგრამის შეფასებაზე, გამოკვეთეს პროგრამის სუსტი და ძლიერი მხარეები; განიხილეს სირთულეები, მოსწავლეთა, მშობლებისა და კოლეგების გამოხმაურებები; ასევე გამოცდილებიდან გამომდინარე, შეიმუშავეს რეკომენდაციები, თუ რა ფაქტორები შეუწყობს ხელს მასწავლებელთა მეტ ჩართულობას თავისუფალ გაკვეთილებში და მოტივაციის გაზრდას.

თავისუფალი გაკვეთილების პროგრამის შეფასების სამუშაო შეხვედრის შედეგები:

პროექტის ძლიერ მხარეებად იქნა მიჩნეული:

- მოსწავლეებში ჩართულობისა და შინაგანი მოტივაციის ზრდა;
- სახალისო პროცესი და მოსწავლეებისათვის საკუთარი თავის რეალიზების საშუალების მიცემა;

- ისეთი უნარების განვითარება მოსწავლეებსა და მასწავლებლებში, როგორცაა ჯგუფური მუშაობა, კვლევის დაგეგმვა, წაკითხულის გააზრება, მოლაპარაკებების წარმოება, პრობლემის იდენტიფიცირება, მიზნების ფორმირება და სხვა;
- მცირე კონტინგენტიანი სკოლების გააქტიურება;
- როგორც მოსწავლეებში, ასევე მასწავლებლებში თანამშრომლობითი უნარების განვითარების ხელშეწყობა;
- სოფლის სკოლებში პროფესიული ზრდით დაინტერესება;
- გარე პარტნიორებისა და სხვა რესურსების მოძიების სტიმულირება.

პროექტის სუსტ მხარეებად იქნა მიჩნეული:

- ტექნიკის შესყიდვის აკრძალვა/შეზღუდვა;
- დირექციის, ადმინისტრაციის ჩართვის შეზღუდვა;
- სპორტში თავისუფალი გაკვეთილების ჩატარების უფლების მინიჭება მხოლოდ სპორტის მასწავლებლებისათვის (სხვა საგნის მასწავლებელს, რომელსაც სურდა მონაწილეობა, ამ შეზღუდვის გამო ვერ შეძლო, სპორტის მასწავლებელმა კი არ გამოხატა სურვილი);
- კრედიტების სიმცირე;
- მიმართულებების შეზღუდვა;
- მოსწავლეთა ასაკის შეზღუდვა;
- საათების დროში გადანაწილება შეზღუდვა;
- განხორციელების ვადების შეზღუდვა;
- ანაზღაურების სიმცირე;
- დოკუმენტაციის დიდი მოცულობა;
- პროექტის შეფასების რუბრიკის არ არსებობა;

ძირითადი დასკვნები

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ სკოლების წინარე გამოცდილებამ დიდი გავლენა მოახდინა პროექტში ჩართვასა და განხორციელებაზე. კერძოდ, ის სკოლები, რომლებსაც არ ჰქონდათ არაფორმალური განათლების კუთხით გამოცდილება, გაუჭირდათ სკოლის გარშემო არსებული სხვადასხვა ტიპის რესურსების (ადამიანური, მატერიალური, ფინანსური) აღქმა საგანმანათლებლო პროცესის მხარდამჭერ რესურსად, რომელთა გამოყენებაც შეეძლოთ თავისუფალი გაკვეთილებისათვის.

სკოლებს უჭირთ გარე შესაძლებლობების დანახვა. მათი დიდი ნაწილი უნივერსიტეტებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობას საერთოდ არ განიხილავს სკოლის ცხოვრებაში გამოსაყენებელ დამატებით შესაძლებლობად.

რესპონდენტთა ნაწილმა ჩათვალა, რომ თავისუფალი გაკვეთილები მხოლოდ სკოლის სივრცეში უნდა ჩატარებულიყო იმისათვის, რომ მოსწავლეებისათვის მიმზიდველი და სახალისო გაეხადათ სკოლაში სიარული.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს პროექტის შესახებ ინფორმაციის სიმცირე, პროექტებზე მუშაობისთვის აუცილებელი უნარების არ არსებობა და მხარდამჭერი საშუალებების სიმცირე.

აქტივობების დაგეგმვაში მხოლოდ რამდენიმე სკოლამ ჩართო მოსწავლეები და გაითვალისწინა მათი ინტერესები. უმრავლეს შემთხვევაში, ძირითადად, მასწავლებლებმა მოსწავლეებისგან და რა თქმა უნდა, მშობლებისგან დამოუკიდებლად დაგეგმეს პროცესები.

პროექტში ჩაერთვნენ ის აქტიური მასწავლებლები, რომლებიც ყოველთვის იჩენენ ინიციატივას. ის მასწავლებლები, რომლებიც შედარებით პასიურები არიან თავს იკავებენ მონაწილეობისაგან თუ ამას მათ დირექტორი არ ავალებს.

მასწავლებლების ნაწილს თავისუფალი გაკვეთილების წინასწარ განსაზღვრულმა კონკრეტულმა მიმართულებებმა თავი შეაკავებინა პროექტში მონაწილეობისაგან, რადგან მიიჩნიეს, რომ ეს თემები მათ არ ესადაგებოდათ. რიგ შემთხვევებში გადაგზავნილი ნიმუშები მასწავლებლებმა ჩათვალეს სავალდებულოდ.

კვლევამ აჩვენა, რომ გამოცდილმა მასწავლებლებმა კარგად გამოიყენეს პროექტის შესაძლებლობები და აქტიურად დაგეგმეს აქტივობები მუზეუმში, ტყეში, სკოლის სახურავზე, მოიწვიეს მოხალისეები და გამოვიდნენ საკლასო სივრციდან.

იყო შემთხვევები, როდესაც სკოლამ ითანამშრომლა იმ სკოლებთან, რომლებიც არ ჩაერთნენ თავისუფალი გაკვეთილების პროგრამაში და მათთან ერთად დაგეგმეს სხვადასხვა ტიპის აქტივობები.

რეკომენდაციები

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, გამოიკვეთა რამდენიმე რეკომენდაცია, რომელიც ორ ძირითად ჯგუფად გადანაწილდა. 1. ინფორმირება და მხარდაჭერა და 2. დერეგულირება. მოცემული რეკომენდაციები ეფუძნება მასწავლებლებისა და სკოლის დირექციის მხრიდან გამოთქმულ მოსაზრებებს.

1. ინფორმირება და მხარდაჭერა

- მასწავლებლებში და, ზოგადად, სკოლებში პროექტებთან დაკავშირებული ინფორმაციისა და შესაბამისი უნარების არარსებობის გამო მნიშვნელოვანია შეიქმნას გზამკვლევი, რომელიც მოიცავს პროექტის შესახებ ძირითად ინფორმაციასა და დამხმარე რესურსებს, როგორცაა: თავისუფალი გაკვეთილის მნიშვნელობა, მიზნები, პროცესი, თავისუფალი გაკვეთილის გეგმების მომზადება, გეგმების ნიმუშები, თემატური ლიტერატურა, საკითხავი მასალები, ასევე დამატებითი აქტივობები, რომლის არჩევის საშუალება ექნება მასწავლებელს;
- უნდა მოხდეს გამოცდილების გაზიარება იმ ორგანიზაციების მხრიდან, რომელთაც აქვთ ნამუშევარი მსგავსი ტიპის პროექტებზე. ასევე სკოლებში არსებული კარგი პრაქტიკის გაცნობა სხვა სკოლებისათვის. პარტნიორული პროექტების მხარდაჭერა.
- გაუმჯობესდეს უკუკავშირი მონაწილე სკოლებთან;
- გამოვლინდეს საუკეთესო პროექტები და მოხდეს გამოცდილების გაზიარება;
- პროექტში მონაწილეობისათვის მასწავლებელთა მომზადების სისტემის გამართვა, კერძოდ: ტრენინგების, სამუშაო შეხვედრების, კონსულტაციების მოწყობა, რათა თავისუფალი გაკვეთილების არსის უკეთ გააზრება და პროცესის უკეთ დაგეგმვა;
- თავისუფალი გაკვეთილების მიმართულებით რესურსცენტრებში საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისების შექმნა;

- მხარდაჭერაზე ორიენტირებული მონიტორინგის განხორციელება, პროცესის მიმდინარეობისა და შედეგების შესაფასებლად და შესაბამისი ინტერვენციების დასაგეგმად.

2. დერეგულირება

- რესურსების შექმნისას მეტი თავისუფლებისა და სკოლის შიგნით ბიუჯეტის დასაშვები ზღვარის ფარგლებში ცვლილების შესაძლებლობის მიცემა;
- დირექცია/ადმინისტრაციისათვის შეზღუდვების მოხსნა, რადგანაც, ზოგიერთ სკოლაში, დირექციის წარმომადგენლებსაც აქვთ თავისუფალი გაკვეთილების ჩატარების დიდი სურვილი და მნიშვნელოვანია არსებობდეს არჩევანის საშუალება;
- სხვა მასწავლებელსაც შეეძლოს სპორტის გაკვეთილების ჩატარება;
- კრედიტ-ქულების მისადაგება საქმიანობის მასშტაბთან. შესაძლებელია, სხვადასხვა ტიპის თავისუფალ გაკვეთილში სხვადასხვა რაოდენობის კრედიტ-ქულა იქნეს მინიჭებული;
- გაფართოვდეს მიმართულებები და/ან მასწავლებლებს მიეცეთ თავისუფლება თემატიკის განსაზღვრაში;
- მოსწავლეთა რაოდენობა და ასაკი არ იყოს შეზღუდული;
- მასწავლებლებს მიეცეთ საშუალება, პროექტისა და მოსწავლეების ინტერესებიდან გამომდინარე დამოუკიდებლად განახორციელონ აქტივობების დროში განაწილება;
- მოხდეს პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გამარტივება;
- მოტივაციისათვის გაიზარდოს ანაზღაურება და მიესადაგოს კონკრეტული პროექტით გათვალისწინებულ დატვირთვას;
- პროექტის შეფასება პროცესი გახდეს მეტად ღია და გამჭვირვალე;